ეროვნული ბიბლიოთეკა

საუმაღვილო ჟურნალი

მკითხველ წლოვანთათვის.

ივლისი № 14. 1915 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკადული

წელიწადი მე-XI. № 14 ივლისი, 1915წ.

მუშის გასაჭირი

ს. ციხისძის სახელ. ... ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

I—მუშის გასაჭირი,—სურ. 1

II—„ნაკადულის“ მკითხველები:—1 ⁄ 2, ლიზა და ვერიჩკა მოსეშვილები—სოფ. გუბი,—3 ხახატა მამულაიშვილი—გურია,—4 ⁄ 5, თამარ და კატო არდაზიანები—თბილისი,—6, სულიკო ბერეჟიანი—თბილისი,—7 ⁄ 8, თინა და კუკური ლოსაბერიძეები. . 3

III—სამშობლო,—ლექსი იასონ კობიაშვილისა 4

IV—დედის ნუგეში,—არ. ფანკულაიასი 5

V—როგორ მოიგო შალიკომ ნიძლევი,—სონია ხაჟომიასი. . . . 11

VI—მოუსვენარი სტუმარი,—თარგმანი ე. ა—სი 15

VII—ჩვენი მურა,—ლექსი ი. სიხარულიძისა 18

VIII—რითი ამაყობ,—თარგმანი მაკა ნაკაშიძისა 20

IX—ნაპერწკალი და თოვლის ფიფქი 22

X—წერილები რედაქციის მიმართ 23

XI—გასართობი: რებუსი და არითმეტიკული ამოცანები. . . . 24

ტფილისი, ელექტრონით მბეჭდავი წიგ. გამ. ქართ. ამხ—სა, ვანქის დიდი ქ. № 12.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ნაკადული"

მკითხველები

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშოობლო

საშობლოვ, ჩემო ლაშაზო,
შემკულო ია-ვარდითა,
რომ გხედავ დაღონებულსა,—
ვკვდები მე შენი დარდითა!..

**

რამ დაგაღონა, კეკლუცო,
ნეტა რად მოგიწყენია:
რა სევდა გაწვეს გულზედა,
სახე რად დაგიღვრეია?

**

გემუდარები, საშობლოვ,
ნუ დაღონდები მწარეთა,
მიჩვენე შენი მინდვრები,
აყვავებული მწვანეთა.

**

შენ კვალად გამხიარულდი,
ნუღარ იკიდებ სევდასა;
კვალად ილხინე, ჩაგრულო,
მეც არ მოგაკლებ მღერასა.

იასონ კობიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

დედის ნუგეში.

ატარა ლადო მწუხარებით აღსავსე თვალებით შეჰყურებდა ათასგვარ მწვავე ფიქრებში გართულ დედას.

ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ მან აკანკალებული ხმით იკითხა:

— დედა, წუხელ მჭადი სულ არ მოგვრჩენია?

— არ მოგვრჩენია, შენ შემოგევლო დედა-შენი. ამ დილას თითქმის მთელი ამ ქუჩის მოსახლეები შემოვიარე, მაგრამ ზოგს თვითონ არაფერთ ჰქონდა, და ზოგმა არც გაგვიკითხა,— მიუგო დედამ, რომლის თვალები ძლივს იკავებდნენ მოგუბებულ ცრემლებს. აგერ შუა დღე ახლოვდება, და ჯერ იმათ ლუკმა არ უჭამიათ. ლადოს დედამ წინა დღეს ცოტა ისაუზმა, და მას აქეთ მის ჰირს ჰურის ჰაწია ნამცეციც კი არ მიჰკარებია. ორი დღე იქნება, რაც ერთ ჰატარა კეც მჭადს უფრთხილდება, რომ დიდხანს ეკმარა საყვარელ ლადოსთვის; მაგრამ წინა ღამეს ისიც გათავდა...

ლადო სამი თვეა, რაც დაობლდა. მამა-მისი ქალაქ ფ—ში დღიურად მუშაობდა, და სანამ ის ცოცხალი იყო, ლადოსა და დედამისის კეთილდღეობა უზრუნველყოფილი იყო. მაგრამ ის უეცრად გაცივდა; მუშაობისგან დასუსტებულმა მისმა სხეულმა ავადმყოფობა ვერ გადაიტანა და ანთებისგან გარდაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვალა. ამ დღიდან ლადოს ბედის ჩარხიც უკუღმა დატრიალდა. მას აქეთ მისთვის არავის მოუტანია არც წითელი წაღები, არც ხოლებიანი სატინის სახალათე-საშარვლე, არც გრძელი ლავაშის ჰურები... დღეს ლუკმაც არ მოემევათ, და მაშინ კი ლადოს ეოველი სურვილი უმალ სრულდებოდა. ლადო სხვებსავით ბუზღუნა, ან მტირალა როდი იეო: მშობლებს ისეთს არას მოსთხოვდა, რაც მათთვის ძნელი საშოვნელი იეო. მამა გაგიჟებით უეეარდა.

— ბაბა, ხომ მალე მოხვალ? ბევრი უნდა იმუშაო?—ეკითხებოდა მამას ლადო, როცა იგი სამუშაოდ დაეჰირებდა წასვლას და სახეზე მწუხარება აღებეჭდებოდა.

— კი, მამილო, მალე მოვალ და ცხელ-ცხელ ლავაშის ჰურებსაც მოგიტან!

— ჰო, მალე მოდი... მე და დედა საჭმელს დამზადებულს დაგახვედრებთ...

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა მათი ტკბილი ცხოვრება.

შვიდი წლის ლადო ჯერაც ვერ შერიგებია მამის სიკვდილს და სულ დაღვრემილი დადის.

მაგრამ, როგორც კი შენიშნავს დედას ატირებულს, ნუგეშის ცემასაც კისრულობს.

— ნუ სტირი, დედა! აგერ მეც მალე მოგესწრები. სტეფანეს ლევარსა ჩემზე ბევრად უფროსი არაა, მაგრამ, ხომ ხედავ,—დედას და დას არჩენს; მეც მალე დავიწყებ მუშაობას და ფულს სულ შენ მოგიტან!—ასეთი სიტყვებით მიმართავს ხოლმე იგი დედას.

—კი, შენ გენაცვალოს დედაშენი: თუ ღმერთმა შენი თავი მაჩუქა, გაჭირვებას როგორ შევჩივლებ...—ამიუგებს სიხარულის ცრემლ-მორეული დედა და მხურვალედ იკრავს გულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამის სიკვდილის შემდეგ ლადოს დედა საკუთარი შრომით ცხოვრობდა და არჩენდა თავის შვილს: ზოგს სარეცხს ურეცხდა, ზოგს უკერავდა, სახლს უწმენდდა და ძიღებული საჩუქრებით საჭიროებას იკმაყოფილებდა. მაგრამ მისთვის აუტანელი დრო დადგა: ომიანობის გამო ბევრმა მისმა მუშტრებმა ქალაქი დასტოვეს და სხვაგან გადაიხიზნენ. წელიწადიც მეტად მოუსავლიანი იყო: ყველაფერი გაძვირდა, და ლადოს დედის მდგომარეობაში ჩასახედავად ვისღა ეცალა.

შველას ვერც ნატოს დედა შესთხოვდა ვერავის.

— დედა, მე რომ ბაზარში წავიდე, ბარგს არავინ წამაღებინებს? იქნება ცოტა ფული ვიშოვო, ჰურის საყიდლად რომ გვეყოს...—უთხრა ლადომ დამწუხრებულ დედას სანგრძლივი სიჩუმის შემდეგ.

— არა, გენაცვალოს დედა-შენი: შენ როგორ წამოიღებ ბარგს: წელს მოგწყვეტს. ისევ მე შევეცდები რამეს, ყველა ნაცნობებს შემოვივლი...

ლადოს არაფერი უთქვამს, გამოვიდა სახლიდან და ნელი ნაბიჯით გაუდგა ქუჩა-ქუჩა. ახალ-ნაწვიმარი იყო და ყველგან გაუვალი ტალახი იდგა. ლადო თითქმის მუხლამდის ტლაპოში მიატყაპუნებდა, მაგრამ, ფიქრებში გართული, არას ამჩნევდა.

— სად ვიშოვო ფული? დედას გუშინდელს აქეთ არაფერი უჭამია: ჭშია, მეც მშია,—ფიქრობდა ის.

— ჰატარა ბიჭო, ჰატარა ბიჭო!—უეცრად მოესმა ვიღაც უცნობი კაცის ხმა.

ლადომ მოიხედა:

— ჰატარა ბიჭო, შენ გაზდას, ერთი წაცუნცულდი ბაზარში, ეტლი მომიყვანე, და მე ვიცი შენი ჰატივისცემა: კამფეტებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიყიდი!—უძახოდა მას უცნობი, მდიდრად ჩაცმული და ჩასუ-ქებული კაცი მალალ ქვის სახლის ფანჯრიდან.

—ამ წუთში, ბატონო!—მსწრაფლ უპასუხა ლადომ და ბაზრისკენ გავარდა. რაღაც მოულოდნელმა სიხარულმა მოიცვა მისი გული.

—რა მშვენიერი ტანსაცმელი აცვია... რა მსუქანია... ალბად არ შია... მე და დედას კი გვშია...—ფიქრობდა ლადო გზა-და-გზა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ეტლში ჩამჯდარი ლადო უცნობი კაცის სახლთან გაჩნდა.

—ოო, ჩემო ბიჭუნია! ახლა დაჯექ აქა, წავიდეთ ბაზარში, და მიყურე, როგორი კამფეტები გიყიდო!—მხიარულად უთხრა უცნობმა კაცმა.

ლადო წუხარად ჩამოჯდა მის წინ; უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ, თითქოს ენა დაებაო, ლაპარაკს ვერ ახერხებდა; ტირილიც კინაღამ აუვარდა, მაგრამ თავი შეიკავა.

—ფეხშიშველი რატომ დადიხარ: განა არ გცივა?—ჰკითხა უცნობმა.

—მცივა, მაგრამ წყალა არა მაქვს, დახეულია... მამაც არა მყ...—ძლივს მიუგო ლადომ. ის იყო ქვითინი უნდა დაეწყო, მაგრამ ამ დროს ეტლი ბაზარში შევიდა. უცნობი კაცი სულ დუქნებისკენ იხედებოდა, და რაკი მისი ყურადღება გარედ იყო მიპყრობილი, ლადომ აქაც შეიკავა ცრემლები.

—გააჩერე! უბრძანა ერთ დუქნის წინ უცნობმა მეეტლეს.—შენ ხომ ფოჩვებიანი კამფეტი გირჩევნია?—ჰკითხა ლადოს.

—არა, მე ჰური ძირჩევნია!..—მიუგო გულ-აჩვილებულმა ლადომ; თვალები მიწას მიაპყრო და წყვილი ცრემლი გადმოღვარა...

—კარგი, ჩემო ბიჭიკო: ჰურსაც გიყიდი და კამფეტსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მარტო ბური მიეიდე... ბევრი ბური... მე მშია, და დედასაც ჭშია...

უცნობი დააკვირდა უმანკო სახეს, ცოტა დაფიქრდა და ჰკითხა ლადოს:

— დედა-შენი რომელ ქუჩაზე ცხოვრობს?

— ეველა სახლები რომ თავდება-იქა; ჩვენს იქით არავინ ცხოვრობს...

უცნობი ფურნეში შეეიდა, ბური ბლომად იეიდა, ეტლში ჩაწეო და ლადოს დედისკენ გასწია. გახარებული ლადო გზას უჩვენებდა. როცა ბინაზე მიეიდნენ, ლადომ ბური გადმოაწეო ეტლიდან და უცნობს წინ გაუძღვა დედის ბინისკენ.

დედაც გამოეგება.

— მე დღეს თქვენი ჭკვიანი ბიჭუნიას სტუმარი ვარ! —მიმართა მას უცნობმა და თავაზიანად ხელი ჩამოართვა.

როცა ისინი სახლში შეეიდნენ, დედამ უცნობ კეთილ ადამიანს თავისი მდგომარეობა გააცნო და უხვი მოწეალებისათვის დიდი მადლობა გადაუხადა.

უცნობმა დედა-შვილის უმწეო მდგომარეობა გაიცნო და გადასწეეტა მათთვის დახმარება აღმოეჩინა.

— თუ შეელევით თქვენს ჭკვიან შვილს, ჩემ მაღაზიაში დავაეენებ; საქმე სულ ცოტა ექნება, და ახლავე ჯამაგირს დაუნიშნავ,—უთხრა მან ლადოს დედას.

— როგორ არა, ბატონო: თუ გინდათ, ახლავე წამოგეეებით!—მსწრაფლ მიუგო უსაზღვროდ გახარებულმა ლადომ.

მოულოდნელი ბედნიერებით გახარებულ დედას სიამის ცრემლები გადმოსცვივდა თვალებიდან; მან ხელები დაუკოცნა უცნობს და სთხოვა ორ დღეში ერთხელ მაინც ეჩვენებინა მისთვის ერთად-ერთი ნუგეში-შვილი ლადო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძესამე დღეს ლადო მაღაზიაში შევიდა და თავიდანვე შეუდგა გულმოდგინედ მუშაობას.

ლადოს ბედი წაღმა დატრიალდა: მაღაზიის პატრონმა იგი თავიდანვე შეიყვარა და შედარებით დიდი ჯამაგირიც დაუნიშნა. ლადოს დედასაც სამუშაო ბლომად უშოვნეს. ამ დღიდან მათ შიმშილი არ განუცდიათ. მათი ცხოვრება დღესაც ტკბილად და მხიარულად მიმდინარეობს.

არ. ფანცულაია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რიგორ მიიგო შალიკომ ნიძლევი

ედა, ჩვენი სახლის ჭერის ქვეშ მერცხალს ბუდე გაუკეთებია!—სიხარულით წამოიძახა თამრომ და დედისკენ გაექანა; მაგრამ უცბად გაჩერდა, როცა შალიკოს დამცინავ თვალებს შეხედა.

— დაიცა, რას გარბი. შეხედე კარგად, თუ ეს მერცხალია! ამოდენა ქალია, და მერცხალს ვერ იცნობს!

— მე კი არა, შენ ვერ ცნობილობ! თუ ჩემზე დიდი ხარ, რისთვის დაივიწყე, რომ ეს მერცხალია?

— გეუბნები, ეგ მერცხალი არ არის!

— აბა?

— მერცხლის გვარია; სახელი არ მახსოვს!

უკანასკნელი სიტყვები თამროს არ გაუგონია და გაცხარებით უთხრა შალიკოს:—გინდა დავნიძლავდეთ?

— კარგი, — მიუგო შალიკომ, — ვკითხოთ დედას; თუ ეს მერცხალი გამოდგა, მე ჩემ კოშკის სათამაშოს მოგცემ; თუ არა და, გიორგი ბიძიამ რომ ბურთი გაჩუქა, ჩემი იყოს. გინდა?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თანასმა ვარ,—მიუგო თამრომ.

გაიქცნენ დედასთან, რომელიც ამ დროს სამზარეულოში ეველსა ზელდა. დედამ ბავშვების სიტყვებს ჯერ ეური არ ათხოვა, მაგრამ როცა ორთავემ, ერთმა კოშკის სიყვარულით, მეორემ—ბურთისა, გასწი-გამოსწიეს დედა, ამანაც მოუსმინა თხოვნა, ეველს თავი დაანება და ბავშვებს გაჰყვა ახალი სტუმრების დასათვალიერებლად.

— მერცხალია, მაშ რაა?!.—სთქვა დედამ ცოტა საეჭვო კილოთი და უფრო დააკვირდა ფრინველებს, თითქო მათ გულზე სურდა წაეკითხა მათი ვინაობა.

— ახლა, ახლა!..—სიხარულით წამოიძახა თამრომ:—მოიტა მალე კოშკი.

— დედი, გეტყობა—არც შენ იცნობ მერცხალს,—შენიშნა შალიკომ დედას.

— აი, სწორედ კუმ ფესი გამოჰყოო!—მიუგო დედამ უკმაყოფილოდ შალიკოს.

— გეუბნები, არც შენ იცნობ მერცხალს—მეთქი; მერცხლის თავი მომცროა, ამისი კი შავი ბალის მსხვილ მარცვალსა ჰგავს: სედავ, კუდიც მოკლე აბია.

ფრინველმა ამ დროს ხმა ამოიღო, რომელიც ძლიერ წააგავდა მერცხლისას.

— გესმის,—მიუბრუნდა დედა შალიკოს,—თუ ეს მერცხალი არ გამოდგა, ერთ სალათს გიყიდი, თუ არა და—ამ სალამოს ქალაქში გამეგზავნე და საქსოვი ძაფი მომიტანე. გკითხოთ ძაძას.

დედამ შალიკოს ბირობა ჩამოართვა, რადგან სიშორის გამო ქალაქში წასვლა ეზარებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადილის დროს, როცა ყველანი სახლში იყვნენ, მერცხლის საკითხმა ისევ წამოჭეო თავი. ბავშვებმა ყველაფერი აცნობეს მამას. მამა გავიდა დერეფანზე, გადახედა ფრინველებს და სთქვა: „ესენი მერცხლები არ არიანო“.

ამრიგად ჩვენი სახლი ამ საკითხის შესახებ ორ ნაწილად გაიყო. საქმე იქამდის მივიდა, რომ დედამ და მამამ ნიძლევი დასდეს. დედას მამისათვის ანაფორა უნდა შეეკერა (შალიკოს მამა მღვდელი იყო), ხოლო მამას დედისათვის—საზაფხულო კაბა, თუ ვინიცობაა მაძა წააგებდა. მაგრამ საკითხავი ის იყო, ვინ გაარჩევდა ამ საქმეს.

ნასადილევს შალიკო „ნაკადულის“ ძველ ნომრებს ათვალიერებდა; მერე მხიარულად შემოიჭრა სახლში. ხელში ეკავა 1913 წ. ნაკადულის № 18, მცირე წლოვანთათვის. მოვიდა ჩვენთან, გადაგვიშალა ნომრის ის ადგილი, სადაც მოთავსებული იყო წერილი სათაურით: „სხვის ბინის მტაცებელნი“, და წაგვიკითხა: „წვრილ ფრინველთა შორის ძრავალია სხვის ბუდის მტაცებელი, აი, მაგალითად, მჭრინავი. გარეგნობით იგი ძლიერ ჰგავს მშრომელ მერცხალს, მაგრამ სრულიად განსხვავებულია ხასიათით და ჩვეულებით. მჭრინავი არას დროს ბუდეს არ იკეთებს“, და სხვა.

დედა საქმის ასეთ დაბოლოებას სრულიად არ მოელოდა. როცა წაიკითხა ეს ამბავი „ნაკადულში“, ძალიან გაკვირდა.

მართლა, როცა დავაკვირდით, გავიგეთ, რომ მერცხლის ბუდე უფრო დაბალია და ღია, ჩვენ ფრინველთა ბუდე კი უფრო მაღალია და დახურული რაც ეტეობა ბუდის მოტაცების შემდეგ შეუკეთებია. მერე მერცხლის შესახებ გაგვახსენდა ლექსი: „ეს რა ჩიტი მოფრენილა, საიდან და სადაური, თეთრ-გული და ყელ-წითელა, შავ-ზურგა და უცხაური?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავრწმუნდით, რომ შალიკო და მამა მართალი იყვნენ. მაგრამ მერცხლის გამოცნობა დედას ერთობ ძვირად დაუჯდა: მამისათვის ანაფორა უნდა შეეკერა, შალიკოსთვის—ხალათი; ხოლო, რადგან თამრომ ღრიალი მორთო, როცა შალიკომ მის ბურთს ხელი დააკლო, დედამ თამროსაც ახალი ბურთი უყიდა.

ასე მოიგო შალიკომ ნიძლევი.

სონია ხაჟომია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოუსვენარი სტუმარი

ური დამიგდე: უნდა გიამბო ჰატარა, უბრალო ბუზის თავგადასავალი.

დადგა შემოდგომა. აცივდა. ზოგიერთი ბუზები მკვდრებსავით ჩაცვივდნენ ფანჯრის ჩარჩოში, ზოგნი ოთახის სხვადასხვა მუდრო კუთხეებში დაიმალნენ, ზოგნი კი ფარდის ნაკეცებში ჩაწვნენ. მაგრამ არ იფიქრო, რომ ბუზები მოკვდნენ: არა,—იმათ მხოლოდ ეძინათ.

აი, დაბრუნდა გაზაფხულის ნათელი დღეები, დადგა სითბო, გადნა თოვლი, გათბა გაყინული დედამიწა. გაიღვიძეს სითბოსთან ერთად ბუზებმაც, გაისწორეს გაშეშებული ფრთები, გაისუფთავეს ფეხებით მუცელი და გაფრინდნენ ადგილის ამოსარჩევად; უნდა ამოერჩიათ მოხერხებული ადგილი, სადაც შეიძლებოდა ბავშვების გამოჩეკა.

ფრინველები იკეთებენ ხის ტოტებზე ბუდეებს, იქ ჩეკენ ბარტყებს; მხეცები სოროებს თხრიან მიწაში... უზრუნველ ბუზს არ უყვარს მუშაობა და დიდხანს არ ეძებს ადგილს ბუდისთვის. შეხვდება თუ არა ნეხვის ბინძურ გროვას, დავიწყებულ ჰურის ნატეხს, ხორცის ნაჭერს—უკვე მზათა აქვს მშვენიერი ბუდე; იქვე ჯდება და სდებს თეთრ მოგრძო კვერცხების ჰატარა გუნდებს. ამისთანა კვერცხებს ასზე მეტს სდებს თითო ბუზი. ამით თავდება ძისი ზრუნვა შთამომავლობისთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის. ერთი წუთის შემდეგ ის უკვე შორსაა და ფიქრადაც არ მოსდის იზრუნოს თავის კვერცხებისათვის.

გავიდა ერთი დღე. კვერცხები გასკდნენ და იქიდან გამოძვრნენ ჰატარა თეთრი ჭიები. ფეხების მაგივრად სხეულზე ჰატარა მეჭეჭები აქვთ. საშინელი სიხარბით ესევიან ახალდაბადებულნი იმ საჭმელს, რომელიც მათ ბუდის მაგიერობას უწევს. გაივლის ერთი კვირა, და ჭია სქელ ფუმფლად იქცევა. ფუმფლა არ ინძრევა: მკვდარსავით წევს.

ოთახის ბუზი, ჭია და ფუმფლი.

მაგრამ შემცდარი იქნება ის, ვისაც ფუმფულა მკვდარი ეგონება. ფუმფლის სხეულში დიდი მოძრაობაა: იქ იზდება ბუზის ფეხები და ფრთები. ერთ კვირასა და კიდევ მეტსაც წევს ფუმფლა უძრავად; ერთ მშვენიერ დღეს-კი უსკდება კანი და შიგ ახალდაბადებული, ბამბასავით თეთრი ბუზის თავი გამოჩნდება.

რა საწყალი, ულონო და უშნოა ახალდაბადებული ბუზი! მაგრამ იგი ჩქარა იზრდება, შავდება და ნამდვილ ბუზად იქცევა. აი, ბუზმა გაისწორა ბჭეკრიალა, გამჭვირვალე ფრთები, გაინავარდა ჰაერში და არხეინად დამაჯდა ცხვირზე.

ჰატარა აბეზარი არსება მოურიდებლად დასეირნობს ჩემ სახეზე, ნიკაპზე, მიღიტინებს კისერში... მივდენი შორს, ის კი დამშვიდებით გადადის ჩემ ხელზე. მინდა ჩუმად დავიჭირო; მაგრამ, შენც არ მომიკვდე, ხელთ ვერ ვიგდებ! ბუზი ძალიან კარგად ხედავს ეგელაფერს: ვერც კი მოვასწრობ ხელის გაქნევას, რომ ის უკვე შორსაა.

არც გასაკვირია, რომ ბუზი კარგად ხედავს: მას ხომ ჩვენსავით ორი თვალი არა აქვს, არამედ ბევრი ჰაწაწკინა თვალი აქვს, თავის ორსავე მხარეს ჰატარა კონებად შეერთებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუზი ერთ წუთსაც არ ისვენებს,—ხან სარძეველში ძვრება, ხან საშაქრეში, ხან მურაბაში. მზის ამოსვლის შემდეგ ძილს ნურავინ ფიქრობს. აი, აცოცდა ბუზი ფანჯრის შუშაზე. ეს რა ამბავია? რა თავისუფლად და ადვილად მოძრაობს? გასაოცარი ფეხები შველის, რომლების ბოლოზედ ორი რბილი ბალიში აქვს. როდესაც ბუზი შუშაზე მიცოცავს, ფეხებს აჭერს, ბალიშები ეკვრის შუშას და ბუზი ძირს არ ვარდება.

არც ძალიან ადვილია ბუზის ცხოვრება: ბევრი მტერი ჰყავს. სახლში ადამიანი არაფერს არ ზოგავს, რომ ბუზები ამოსწყვიტოს; გარედ კი ნადირობენ ბუზებზე ბაყაყები და ფრინველები. ყველგან, შინ და გარედ, მას ელოდება ობობას მაცთური ქსელი. ვერას გზით ვერ დაასწევს თავს ამ ბადეს გაუფრთხილებელი ბუზი და მოშივებულ ობობას საჭმელად ჩაუვარდება ხელში.

დადგა შემოდგომა. მოახლოვდა ზამთრის ძილის დრო. ბუზი დაფრინავს უხალისოდ, ზანტად, ძლივს ანძრევს დაღლილ ფრთებს; ბოლოს კი უძრავად ვარდება სადმე ფანჯრის ჩარჩოში.

ე. ა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი მურა.

ომ იცოდეთ, რა ცელქია
ეურ-ბარტეუნა ჩვენი მურა:
მუდამ სნულში კოტრიალობს, —
გაითხუვნა-გაიმურა.

არაფერი აღარ ახსოვს,
თამაშს, კუნტრუშს რო მოჰყვება,
ხან აღმართში აჭენდება,
ხან თავდალმა დაეშვება;

ხან მოირბენს უცებ შენთან,
როგორც შველი ზე შესტება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგეხვევა, გლოკავს, გკოცნის,
თან ფეხებში გეხლართება.
და მანამდი არ ისვენებს,
სანამ მთლად არ დაიღლება;
მაშინ ჩრდილში წამოწვება,
მიგატოვებს, გაგეცლება.
არ იფიქროთ—მართლა მეტი
არ შეეძლოს მურას რამე:
დღისით მუშებს არ შორდება,
სახლს სდარაჯობს მუდამ ღამე.
რა თვალს მოჰკრავს ღორს ეზოში,
წასისებას არ დაგაცლის,
მსწრაფულ გაჰკურცხლავს და საცოდავს
ჯაგარს ზურგზე მთლად ააცლის.
საღამოზე თუ ძროხები
აღარ მოვლენ თავად შინა,
თვით მოსძებნის, წამოასხამს,
გამოიგდებს ეეფით წინა;
ბატარეებიც ძლიერ უეკარს,
ხშირად ზურგზეც კი შეისვამს,
ისინიც არ უწურებიან,
თუ სანდისსან რძეს შეუსვამს.
მკითხველებო! ხომ გაგაცან
ჩვენი მურა ეურ-ოვარეაშა,
იქნებ თქვენაც მოგეწონოს,
და შესძახოთ კიდეც „ვაშა“?!.

ი. სიხარულიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რითი ამაყობ

ეძვრა ერთხელ ვირთაგვა საკუჭნაოში, გა-
სვრიტა ცერცვით სავსე ტომარა და დაუ-
წეო ჭამა. სჭამს და თავს იქებს: აი, რა-
ნაირი ვარ! ვერც კარებმა და ვერც ბოქ-
ლომებმა ვერ დამაკავეს; თუ მომინდა, სულ
ჰატარა ნახვრეტში გავძრები, და რაც მსურს,
მაინც მივაღწევ. ვერცერთი ტომარა ვერ გაუ-
ძლებს ჩემ ბასრ კბილებს.—დიდხანს ილაპარაკებდა ასე ვირ-
თაგვა, მაგრამ კატამ დაუშალა:—მივარდა საცოდავს, დაავლო
კლანჭები, ათამაშა, ათამაშა, და მერე თავიც მოგლიჯა.

ეცინება კატას და ამბობს:

— რითი ამაყობდი, შე საცოდავო? აქ მე ვარ ბატონი:
რაც მინდა-იმას ვიზამ.

ამ დროს შემოირბინა ჰატრონის ძაღლმა და გააქცია
კატა თაროზე.

— რითი ამაყობ, შე ბებრუცუნა? — ჰკეთდა ძაღლი: — არ
ამძვრალიყავი თაროზე, გაჩვენებდი, ვინ არის აქ ბატონი.

იყეფა, იყეფა ძაღლმა და გაიქცა მინდორში. იქ-კი ჰატ-
რონის ცხენი ბალახს სძოვდა.

— აჰ, შე ბალახის ტომარავ!—უყეფა ძაღლმა,—რას დიდ-
გულობ? დღითი-დღე დადიხარ მინდორში და საჭმელს ეძებ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-კი თვითონ პატრონი მაჭმევს თავის ხელით, კარგ ლუკმებს მირჩევს. მიირბინა ცხენთან და კბენა დაუპირა. ცხენმა ჰკრა წიხლი, გადააგდო ძაღლი შორს და მოჰკლა.

—ხა, ხა, ხა,—ხვიხვინებდა ცხენი:—რითი ამაყობდი? ცხოველებში მე ვარ ყველაზე კეთილშობილი. ომში და ნადირობაში ჩემ პატრონთან ერთად ვიზიარებ ყველა ჭირ-ვარამს, და არა-ერთხელ ჩემ სწრაფ ფეხებს გადაურჩენია პატრონი სიკვდილისგან. მიზეზი მაქვს, რომ ვიამაყო.

მაღლა ასწია ცხენმა თავი და გაჰქრა, მაგრამ ვერ შეამჩნია ძაღლობის უკან მიმალული ლომი, რომელიც უცბად გამოხტა, შეახტა ცხენს ზურგზე და გახლიჩა.

—უჭკუო,—ღრიალებდა ლომი და კლდე ბანს აძლევდა მას:—რითი ამაყობდი? მე ცხოველების მეფე ვარ: სილამაზეში და სიძლიერეში არ მეავს ტოლი...

უცბად მოისმა თოფის ხმა, და ლომი გაგორდა თავ-გახვრეტილი. პატრონმა დაინახა, რა მოუვიდა მის ცხენს და ერთი გასროლით მოჰკლა ლომი. მერე გაამრო ლომს ქურქი, გადიგდო ზურგზე და გასწია სახლისკენ. მიდის და თანაც ამბობს:

—რითი ამაყობდი?—მეფე ხარ ცხოველებისა, მაგრამ როგორც ლერწამი გადატეხი ჩემ ხელ ქვეშ! მე ვარ დედამიწაზე ყველა ცხოველების ბატონი.

მაგრამ უცბად გაჩნდა ღრუბელი, დაიქუხა, დაეცა კაცს მეხი და მოჰკლა. ქუხილი-კი გრიალებდა:

—საცოდავო, უძლურო არსებავ,—რითი ამაყობდი?

მაკა ნაკაშიძე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაპერწკალი და თოვლის ფიფქი

ამთარი იყო. თოვლი მოდიოდა და თეთრ რბილ სალიჩად ეფინებოდა დედამიწას. ერთი ფიფქი სახლის სახურავზე დაეშვა. ამ დროს საკვამლე-დან გამოფრინდა ნაპერწკალი და ფიფქთან ახ-ლოს დაეცა.

— რა ლამაზი ხარ,—შესძახა მან ფიფქს—თე-თრი, რბილი, და თანაც ვარსკვლავს ჰგავხარ. მაგ-რამ, ამბობენ, რომ მეც ლამაზი ვარ, უფრო სიბნელეში ველ-ვარებ. მერე მე ძლიერიცა ვარ: შემიძლია ადამიანს მოუტანო ბევრი უბედურება. მაგალითად, დავეცეი ხმელ ფოთლებს, ან შეშას, და მაშინვე ცეცხლი გაჩნდება. მე მითხრეს, რომ ბევრი ჩემი დაძმა იყო მიზეზი ადამიანის სიკვდილისა... —ასე გაა-თავა ნაპერწკალმა:—შენ-კი ლამაზი, მაგრამ უძლური ხარ: შენი არავის არ ეშინია.

— შენ ასე გგონია? —გაიღიმა ჩუმად ფიფქმა:—აბა, უეურე!..

ვერცხ-კი გაათავა მან ეს სიტყვები, რომ საკვამლედან გა-მოფრინდა მეორე ნაპერწკალი და დაეშვა პირველ ნაპერწკა-ლის ახლოს. იმ წამსვე ზევიდან წამოვიდა თოვლის ფიფქი, ნაპერწკალს დაეცა და ჩააქრო.

ბ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



I

ქონო რედაქტორო!

შევიტყეთ რა მაისის კავშირის არსებობა, დიდი სიამოვნებით უერთდებით და ვსდებთ ჰირობას, რომ დღეის შემდეგ არცერთი ჩვენთაგანი არავითარ ზარალს არ მიაყენებს ჩვენ საყვარელ მეგობრებს—ჩიტუნიებს, რაზედაც ხელს ვაწერთ ოზურგეთის უმაღლესი ჰირველდაწყებითი სასწავლებლის მეორე განყოფილების ეოფილნი მოწაფენი:

შავიშვილი ტოგო, კალანდაძე ჰეტრე, გობრონიძე ივანე, ჰავლე შარაშენიძე, ქობულაძე გიორგი, ცეცხლაძე სოზონა, სალუქვაძე ივანე, გუნთაიშვილი ილარიონ, შოშიტაიშვილი კონსტანტინე, სიხარულიძე გიორგი, ვასაძე იასონა, ვიშნევსკი ივანე, ვასილი სალუქვაძე, ვასაძე ნიკოლოზი, დარჩია გიორგი, ვადაჭკორია ტარასი, ღლონტი გიორგი, იობიშვილი მიხეილ.

II

ქონო რედაქტორო!

ამ წერილთან დღეს გიგზავნით 3 მან. და 70 კაპ. ჰატარა. აჭარლებისათვის ჩემ მიერ შეგროვილს. თითო მანეთი მამამ და დედამ მაჩუქეს, დანარჩენი კი—ბიძებმა.

ნაკადულის ხელის მომწერი

ალექსანდრა ნანეიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

რებუსი

(წარმოდგენილი ქ. მარუაშვილის მიერ)

,, ნ ცვ

ებრაელ ების წინასწარმეტყველის სახელი.

,,

მ ,, ნ

პიროვნებითი ნაცვალსახელი.

,,40''

,, ბ

მე-13 №-ში მოთავსებულ არითმეტიკულ ამოცანის და რებუსის ახსნა.

1) თექვსმეტ უჯრედში ჩასხით 1—ᲘᲒ ოცდაექვსი კაცი გამოვა ექვსელ მხრიდან 34.

1	15	14	4
12	6	7	9
8	10	11	5
13	3	2	16

2) საბერძნეთი.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე. გამომცემელი ფ. პ. ი. თუმანიშვილი.

2/30

ეროვნული ბიბლიოთეკა

1915 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

წელიწადი მეთვრამეტე

ჟურნალი **ნაკადული** გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12** **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

36 სურათი ნაკადულის 1-ლ გვერდზე.

საჩუქრად 1915 წ. მიეცემა მხოლოდ ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს წიგნი: **დასურათებული „ხალხური ზღაპრები“**,—სამეგრელოში შეკრებილი იოსებ ყიფშიძის მიერ.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მან. ნახევარ წლით—**3** მან., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი**—**3** მ., მოზრდილთათვის **12 წიგნი**—**3** მან., ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

საზღვარ გარედ: ერთი წლით **7** მ., ნახევარი წლით **4** მ.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან დაკ. თელიასთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან, ფოსტაში, ტ ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** ტ **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—ნიხო გელაშვილთან. **გორში**—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან. **ალექსანდროპოლში**—ს. შატბერაშვილთან. **ნახიჩევანში**—სამ. მარჯანიშვილთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **ტ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**